უპირატესობა შედეგია ცოდნისა!

ცოდნისა

აუდიტური კონცერნი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სააქციო საზოგადოება

"Standard Insurance Georgia"

2012 წლის ფინანსური ანგარიშგების შესახებ

2013

შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“

ლიცენზია სადაზღვევო აუდიტში № დ-163. საიდენტიფიკაციო № 211344188. ელ. ფოსტა: info@tsodnisa.ge
თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. № 41, IV სართული. ტელ.: 239-33-50 (ფაქსი), 239-33-56

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სააქციო საზოგადოება "Standard Insurance Georgia" 2012 წლის ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ

1. დამოუკიდებელი აუდიტორის – შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისას“ მიერ ჩატარებული იქნა სააქციო საზოგადოება **"Standard Insurance Georgia"**-ს (შემდგომში – *კომპანია*) ფინანსური ანგარიშგების (თან ერთვის) აუდიტი. ფინანსური ანგარიშგება მოიცავდა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2012 წლის სრული შემოსავლების ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი ნაკადების ანგარიშგებას საანგარიშო პერიოდისათვის, სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითად პრინციპებს და განმარტებებს.

2. *კომპანიის* ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების წარმოებაზე და მის სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს პასუხისმგებლობა მოიცავს: ადეკვატური შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებასა და იმპლემენტაციას, რომელიც არ უნდა შეიცავდეს არსებითი ხასიათის უზუსტობებს, თაღლითობისა და/ან შეცდომების გამო. ჩვენ გვევალება ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვსატოთ მოსაზრება წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. აუდიტი დაიგეგმა და ჩატარდა ისეთი ფორმით, რომ დავრწმუნებულიყავით ბუღალტრული ანგარიშგების უტყუარობაში. აუტიდის პროცედურებს შერჩევა დამოკიდებულია აუდოტორების მოსაზრებებზე და ხდება იმგვარად, რომ გათვალისწინებული იქნას მატერიალური შეცდომების ან თაღლითობის შედეგად ანგარიშგების დამახინჯების რისკი. აუდიტი ასევე მოიცავს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობის და სააღრიცხვო ჩანაწერების სისწორის შეფასებას, ისევე როგორც ფინანსური ანგარიშგების სრულად წარდგენის შეფასებას. მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტი დასაბუთებულ საფუძველს გვაძლევს დასკვნის შესადგენად.

3. აუდიტორული შემოწმების შედეგების მიხედვით, სააქციო საზოგადოება **"Standard Insurance Georgia"**-ს 2012 წლის ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებდა ფინანსური ანგარიშგებისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების *(IFRS)* მიხედვით, საქართველოს საგადასახადო და სადაზღვევო კანონმდებლობის დაცვით. წარმოდგენილი 2012 წლის ფინანსური ანგარიშგება ყველა ძირითად ასპექტში სანდოდ და უტყუარად ასახავს *საწარმოს* ფინანსურ მდგომარეობას, შემოსავლებს და ხარჯებს, ფულადი სახსრების მოძრაობას 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ბოლოს მდგომარეობით.

შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისას“
დირექტორი, ნინო კალანდია

14.05.2013 წ

სს "Standard Insurance Georgia"
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2012 წელი	2011 წელი	შენიშვნა
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	2017997	2165002	3
მიმდინარე მოთხოვნები სადაზღვევო საქმიანობიდან	604656	503576	4
სხვა მოთხოვნები გადაზღვევიდან	609790	475395	5
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	3881	1937	6
მომავალი პერიოდის გადაზღვევის ხარჯები	925160	126454	7
დეპოზიტებზე დარიცხული პროცენტები	5687	6723	8
სხვა მიმდინარე აქტივები	196537	173810	9
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	124894	137500	10
არამატერიალური აქტივები	7364	8795	
გადავადებული საგადასახადო აქტივი	294230	292840	11
აქტივები სულ:	4790195	3892033	
ვალდებულებები და კაპიტალი			
მიმდინარე ვალდებულებები			
ვალდებულებები სადაზღვევო კრედიტორების მიმართ	129485	23384	12
5% რეზერვი (IBNR)	32865	20961	13
ვალდებულებები გადამზღვეველთა მიმართ	1364396	942424	14
გადავადებული სადაზღვევო შემოსავალი	1205006	281478	15
მომავალი პერიოდის მოგება გადაზღვევის საკომისიოდან	44719	30701	16
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	38217	16234	17
ვალდებულებები სულ:	2814688	1315182	
სააქციო კაპიტალი	4480000	4480000	18
გაუნაწილებელი მოგება / (დაუფარავი ზარალი)	(2504493)	(1903149)	
კაპიტალი სულ:	1975507	2576851	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	4790194	3892033	

გენერალური დირექტორი _____ გურგენიძე

ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირი _____ მ. ...

Standard Insurance Georgia
204540274
Insurance Company

სს "Standard Insurance Georgia"
სრული შემოსავლების ანგარიშგება
2012 წლის 1 იანვრიდან – 2012 წლის 31 დეკემბრამდე

	2012 წელი	2011 წელი	შენიშვნა
მოზიდული სადაზღვევო პრემია	2,505,900	672,228	19
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის ცვლილება	(923,528)	641,000	20
გადაზღვევის ხარჯები	(1,049,798)	(420,277)	21
ზარალის ანაზღაურების ხარჯები	(590,190)	(1,387,953)	22
გადამზღვევის წილი ანაზღაურებულ ზარალში	174,700	166,956	
5% რეზერვი	(12,038)	(6,253)	
მოგება (ზარალი) სადაზღვევო საქმიანობიდან	105,047	(334,299)	
აგენტების და ბროკერის საკომისიო	(37,540)	(46,390)	23
შემოსავალი გადაზღვევის საკომისიოდან	88,195	77,062	
სხვა შემოსავლები სადაზღვევო საქმიანობიდან	56,307	30,461	24
სულ მოგება სადაზღვევო საქმიანობიდან	212,008	(273,166)	
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(889,308)	(994,906)	25
სულ საოპერაციო ხარჯები	(889,308)	(994,906)	
ფინანსური შემოსავალი	194,778	167,555	26
ფინანსური ხარჯები			
სხვა არასაოპერაციო მოგება/(ზარალი)	(120,212)	(190,388)	27
მოგება დაბეგვრამდე	(602,734)	(1,290,906)	
მოგების გადასახადი	(1,390)	(292,840)	
პერიოდის მოგება (ზარალი)	(601,344)	(998,066)	
სულ წლის ბოლოს სრული შემოსავალი (ხარჯი)	(601,344)	(998,066)	

გენერალური დირექტორი _____ გ. გურბანოვი

ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირი _____ მ. გურული

Standard Insurance Georgia
204540274
Insurance Company

სს "Standard Insurance Georgia"
საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება
2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	რეზერვი და დაფინანსება	დაგროვილი მოგება (ზარალი)	სულ
სააქციო კაპიტალი 01.01.2011 მდგომარეობით	2,624,000	-	(905,083)	1,718,917
კაპიტალის ემისია	1,856,000			1,856,000
ქონების გადაფასება				
მიმდინარე პერიოდის მოგება (ზარალი)			(998,066)	(998,066)
გაცხადებული დივიდენდები				
სხვა ცვლილებების საკუთარ კაპიტალში				
სააქციო კაპიტალი 01.01.2012 მდგომარეობით	4,480,000	-	(1,903,149)	2,576,851
კაპიტალის ემისია				
ქონების გადაფასება				
მიმდინარე პერიოდის მოგება (ზარალი)			(601,344)	(601,344)
გაცხადებული დივიდენდები				
სხვა ცვლილებების საკუთარ კაპიტალში				
სააქციო კაპიტალი 31.12.2012 მდგომარეობით	4,480,000	-	(2,504,493)	1,975,507

გენერალური დირექტორი _____ ნ. გურბანოვი

ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირი _____

Standard Insurance Georgia
204540274
Insurance Company

სს "Standard Insurance Georgia"
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2012 წლის 1 იანვრიდან – 2012 წლის 31 დეკემბრამდე

	2012 წელი	2011 წელი
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
ფულადი სახსრები გაყიდული სადაზღვევო პოლისებიდან	1,274,820	1,161,908
ფულადი სახსრები გადამზღვევლის მიერ ანაზღაურებულ ზარალებიდან		101,324
ფულადი სახსრები რეგრესიდან და გადარჩენილი ქონებიდან	46,194	32,092
ფულადი სახსრები გადაზღვევის მისაღები საკომისიოდან	12,069	
სხვა შემოსაულობანი საოპერაციო საქმიანობიდან	471	
გადახდილი გადაზღვევის პრემია	(332,238)	(6,533)
გადახდილი ზარალი	(482,993)	(1,664,398)
გადახდილი შრომის ანაზღაურება	(462,070)	(429,081)
გადახდილი მოგების გადასახადი (პროცენტებიდან)		
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(133,752)	(247,334)
გადახდილი ჯარიმები	(101)	
გადახდილი საბანკო ხარჯები	(3,635)	(12,153)
გადახდილი იჯარა	(72,595)	(71,738)
გადახდილი კონსულტანტების და აუდიტორების მომსახურება	(19,850)	(13,058)
გადახდილი ბროკერის და აგენტის საკომისიო	(31,111)	
გადახდილი საკომუნიკაციო ხარჯები	(19,588.01)	(22,024)
გადახდილი საკანცელარიო ხარჯები	(4,299)	(12,561)
თანამშრომლებზე გაცემული საქვანგარიშო თანხები	10,305.03	77,616
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(27,293)	(100,297)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(9,257)	(113,279)
პრეტენზიები		(68,856)
საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი	(254,923)	(1,388,371)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(46,629)	(4,212)
ძირითადი საშუალებების გასვლიდან შემოსულობანი		13,248
ძირითადი არამატერიალური აქტივების შეძენა		(2,200)
დეპოზიდებიდან მიღებული პროცენტები	194,339	166,296
მოკლევადიანი სესხის გაცემა	(39,963)	
საინვესტიციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი	107,747	173,132
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის ზრდა		1,907,186
მიღებული მოკლევადინი სესხები		50,000
მიღებული მოკლევადინი დაფარვა		(50,000)
გადახდილი პროცენტები		

ფინანსური საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი	-	1,907,186
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა (კლება)	169	(104,774)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტების წმინდა ნაზრდი	(147,007)	587,173
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	2,165,004	1,577,831
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	2,017,997	2,165,004

გენერალური დირექტორი _____ ნ. გურბანოვი

ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირი _____

Standard Insurance Georgia
ქ. ბურუსლი
204540274
Insurance Company

1. ზოგადი ინფორმაცია

სს **"Standard Insurance Georgia"** (შემდგომში – *კომპანია*) დარეგისტრირებულია 2007 წლის 4 ნოემბერს თბილისის ძველი თბილისის რაიონის საგადასახადო ინსპექციის მიერ. *კომპანიის* იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი 0105, კანდელაკის ქ. №39, საიდენტიფიკაციო №204540274. *კომპანია* არ არის დღგ-ის გადამხდელი, საგადასახადო აღრიცხვაზე იმყოფება ძველი თბილისის საადასახადო ინსპექციაში.

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 4480000 ლარს. კომპანიის ერთადერთი დამფუძნებელი არის სს „Стандард Страхование" ბაქო, აზერბაიჯანი 100%.

კომპანიას არ ყავს შვილობილი კომპნიები. ფინანსური ანგარიშგების მომზადების პერიოდში კომპანიის დირექტორი იყო ნარიმან გურბანოვი. კომპანიის ძირითად ეკონომიკურ საქმიანობას წარმოადგენს დაზღვევა და გადაზღვევა. *კომპანიას* აქვს საქართველოს ეროვნული ბანკის ლიცენზია საერთო დაზღვევასა და გადაზღვევაში, ასევე სიცოცხლის დაზღვევის და გადაზღვევის ლიცენზია.

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია ის არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც მოხდა ფინანსური ანგარიშგების მომზადება.

სადაზღვევო შემოსავლების აღიარება

კომპანია გამოიმუშავებს თავის შემოსავალს სადაზღვევო პოლისების გაყიდვით. *კომპანია* პოლისებიდან მიღებულ შემოსავალს, დღის სიზუსტით, აღიარებს გამომუშავებულ შემოსავლად იმ პერიოდის შესაბამისად რა პერიოდზეც განსაზღვრულია პოლისის მოქმედება. პოლისის გაცემისთანავე *კომპანია* სადაზღვევო პრემიის სრულ თანხას აღიარებს როგორც მოზიდულ შემოსავალს, ხოლო შემდგომ გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემიის რეზერვის კორექტირების მეშვეობით ახდენს ამ შემოსავლის თანაბარ გადანაწილებას შესაბამის პერიოდებზე (დღეების სიზუსტით).

უცხოური ვალუტის გადაანგარიშება

ფუნქციონალური და საანგარიშგებო ვალუტა, რომელიც შესულია ჯგუფის ყველა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში, ფასდება პირველადი ეკონომიკურ გარემოს ვალუტის გამოყენებით, რომელშიც მოღვაწეობს *კომპანია* („ფუნქციონალური ვალუტა").

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციაების გადათვლა ფუნქციონალურ ვალუტაში ხდება ოპერაციის განხორციელების დღეს მოქმედი კურსის გამოყენებით. აღნიშნული ოპერაციების შედეგად, ისევე როგორც უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების წლის ბოლოსათვის არსებული კურსით გადათვლისასა წარმოქმნილი მოგება და ზარალი აღირიცხება მოგებისა და ზარალის

ანგარიშში, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ისინი დროებით გადატანილია კაპიტალის ანგარიშზე.

ლარის კურსი ძირითად უცხოურ ვალუტებთან:

31.12.2011 - USD 1 = 1.6703 GEL EUR 1 = 2.1614 GEL

31.12.2012 - USD 1 = 1.6567 GEL EUR 1 = 2.1825 GEL

ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს ისტორიული (პირველადი) ღირებულებით ცვეთის გათვალისწინებით. პირველადი ღირებულება შეიცავს ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული ამ ძირითადი საშუალებების შეძენასთან. შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარებულია ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ალბათობა იმისა, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი წარიმართება *კომპანიისაკენ* და აქტივის ღირებულების გამოთვლა შესაძლებელია. რემონტთან და ტექნიკურ მომსახურებასთან დაკავშირებული ყველა სხვა დანახარჯი აისახება შესაბამისი პერიოდის მოგებისა და ზარალის ანგარიშში.

ძირითადი საშუალებების ცვეთის გამოანგარიშება ხდება მათი პირველადი ან გადაფასებული ღირებულების სალიკვიდაციო ღირებულებამდე თანაბრად ჩამოწერის მეშვეობით მათი სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში, კერძოდ:

- იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების რემონტი - 5 წელი;
- ტრანსპორტი - 5 წელი;
- ოფისის აღჭურვილობა - 8-10 წელი;
- კომპიუტერები და კომუნიკაციის საშუალებები - 4-5 წელი;
- სხვა ძირითადი საშუალებები - 3-5 წელი.

არამატერიალური აქტივები

ლიცენზიები

ლიცენზიები ასახულია თავდაპირველი ღირებულებით. ლიცენზიებს აქვთ შეზღუდული სასარგებლო გამოყენების ვადა და აღირიცხებიან თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით. ამორტიზაციის გამოანგარიშება ხდება ღირებულების თანაბრად ჩამოწერის მეშვეობით სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში (10-15 წელი).

კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა

შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიების კაპიტალიზაცია ხდება კონკრეტული პროგრამული უზრუნველყოფის შეძენასა და მონტაჟზე გაწეული დანახარჯების მიხედვით. ამ დანახარჯების ამორტიზაცია ხდება სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში (10-15 წელი). კომპიუტერული პროგრამების შემუშავებასა და მხარდაჭერაზე გაწეული დანახარჯები გათვალისწინებულია ხარჯებში მათი წარმოქმნის მიხედვით. დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ არიან დაკავშირებული ცალკე აღებული

ინდივიდუალური პროგრამული პროდუქტის შემუშავებასთან (სამედიცინო დაზღვევის პროგრამა „ესკულაპი"), რომელსაც *კომპანია* გააკონტროლებს და რომლის გამოყენებიდანაც, სავარაუდოდ, ერთ წელზე ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, მიღებული იქნება შემოსავალი, რომელიც გადააჭარბებს თვითღირებულებას, აღირიცხება არამატერიალური აქტივების ნაწილში. პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების დანახარჯები შეიცავს პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების სპეციალისტების შრომის ანაზღაურებას და გადანაწილებადი ზედნადები ხარჯების შესაბამის ნაწილს.

პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების დანახარჯები, რომლებიც აღიარებულია აქტივებად, ამორტიზირდება სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში (არაუმეტეს 10 წლისა).

დებიტორული დავალიანება სადაზღვევო საქმიანობიდან

დებიტორული დავალიანება სადაზღვევო საქმიანობიდან წარმოადგენს ფინანსურ აქტივს ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით. ის წარმოიქმნება *კომპანიის* მიერ უშუალოდ დებიტორზე სადაზღვევო მომსახურების. ის მიეკუთვნება მიმდინარე აქტივებს ერთ წელზე ხანგრძლივი დაფარვის ვადიანი აქტივების გამოკლებით (ასეთი აქტივები კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები). დებიტორული დავალიანება სადაზღვევო საქმიანობიდან ბალანსში აისახება მიმდინარე მოთხოვნები სადაზღვევო საქმიანობიდან მუხლში (შენიშვნა 4).

ვალდებულებები სადაზღვევო კრედიტორების მიმართ

ვალდებულებები სადაზღვევო კრედიტორების მიმართ თავდაპირველად აისახება სამართლიანი ღირებულების მიხედვით გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

მომავალი პერიოდის სადაზღვევო მოგება

კომპანია ახდენს სადაზღვევო პოლისებიდან/კონტრაქტებიდან მოგების გადავადებას და აღრიცხავს მას ბალანსის მუხლში „მომავალი პერიოდის სადაზღვევო მოგება".

3. ფულადი სახსრები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

კომპანიის ფულად სახსრებს და მათ ექვივალენტებს 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგი სტრუქტურა ჰქონდათ:

	2012 წელი (ლარი)	2011 წელი (ლარი)
ნაღდი ფული სალაროში	280	43
მიმდინარე საბანკო ანგარიშები	241294	223555
დეპოზიტები	1776422	1941404
	2017997	2165002

2012 წლის მანძილზე *კომპანიას* გახსნილი ჰქონდა დეპოზიტები საქართველოს 3 ბანკში: „კორსტანდარტ ბანკში", „პროკრედიტ ბანკში" და „საქართველოს ბანკში". *კომპანია* ათავსებს ფულად სახსრებს საბანკო დეპოზიტებზე იმისთვის, რომ დაიცვას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესი *„დაზღვევის (გარდა სიცოცხლის დაზღვევისა) სახეობების მიხედვით შექმნილი სადაზღვევო რეზერვების განთავსებისა და ინვესტირების შესახებ"*. *კომპანია* არ განიხილავს ამ დეპოზიტებს როგორც ინვესტიციებს რადგანაც ამ დეპოზიტების ძირითადი დანიშნულება არის საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნების დაკმაყოფილება. *კომპანიის* წვდომა დეპოზიტებზე განთავსებულ ფულად სახსრებზე არ არის შეზღუდული სადეპოზიტო პირობებით.

4. მიმდინარე მოთხოვნები სადაზღვევო საქმიანობიდან

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით *კომპანიის* მიმდინარე მოთხოვნებს (საეჭვო ვალების გათვალისწინებით) სადაზღვევო საქმიანობიდან შემდეგი სტრუქტურა ქონდა:

	2012 წელი (ლარი)	2011 წელი (ლარი)
დებიტორული დავალიანება (დაზღვევა კასკო)	45,980	460,639
საეჭვო ვალების კორექტირება (დაზღვევა კასკო)		(88,263)
დებიტორული დავალიანება (ქონების დაქვევა)	409,515	7,813
დებიტორული დავალიანება (სამედიცინო დაზღვევა)	114,689	87,923
დებიტორული დავალიანება (ავიაცია)	1,130	
დებიტორული დავალიანება (ვალდებულება)	14,416	
დებიტორული დავალიანება (ტვირთი)	526	
დებიტორული დავალიანება (სხვა დაზღვევა)	18,400	35,464
	604,656	503,576

5. სხვა მოთხოვნები გადაზღვევიდან

	2012 წელი (ლარი)	2011 წელი (ლარი)
მოთხოვნები გადამზღვევის მიმართ ზარალის ანაზღაურების ნაწილში	363,050	228,127
დებიტორული დავალიანება გადაზღვევის საკომისიოდან	246,740	247,268
	609,790	475,395

კომპანიის მოთხოვნების ძირითად ნაწილს 2012 წლის მდგომარეობით შეადგენდა მოთხოვნა გადამზღვევის და ამავე დროს დამფუძნებელის სააქციო საზოგადოებას

„Стандард Страхование"-ს (ბაქო) მიმართ, რომელიც წარმოადგენდა მოთხოვნას გადაზღვევიდან მისაღებ საკომისიოდან და გადამზღვევლის წილს ანაზღაურებულ ზარალებში. *კომპანია* არ ახდენს მხოლოდ სამედიცინო რისკების გადაზღვევას, ხოლო ყველა დანარჩენი სახეობების რისკების გადაზღვევა ხორციელდება რეგულარულად.

6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით *კომპანიის* სასაქონლო-მატერიალური მარაგები უტოლდებოდა 3880.91 ლარს. ამ თანხიდან 3626.57 ლარი შეადგინა სადაზღვევო პლასტიკური ბარათების და სამოგზაური პოლისების ღირებულებამ, ხოლო 254.34 ლარი *კომპანიის* ბალანსზე წლის ბოლოს დარჩენილმა საწვავის სასაქონლო-მატერიალურმა მარაგმა.

7. მომავალი პერიოდის გადაზღვევის ხარჯები

კომპანიის წინასწარ გაწეულ (მომავალი პერიოდების) გადაზღვევის ხარჯებს 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგი სტრუქტურა ჰქონდათ.

	2012 წელი (ლარი)	2011 წელი (ლარი)
მომავალი პერიოდის გადაზღვევის ხარჯები (დაზღვევა კასკო)	60,112	62,481
მომავალი პერიოდის გადაზღვევის ხარჯები (ქონების დაქღვევა)	406,896	11,949
მომავალი პერიოდის გადაზღვევის ხარჯები (ავიაცია)	297,061	
მომავალი პერიოდის გადაზღვევის ხარჯები (უბედური შემთხვევა)	816	
მომავალი პერიოდის გადაზღვევის ხარჯები (სხვა დაზღვევა)	160,276	52,024
	925,160	**126,454**

წინასწარ გაწეული გადაზღვევის ხარჯები *კომპანიისთვის* წარმოადგენენ იმ სადაზღვევო პოლისების გადაზღვევის ხარჯებს, რომელთა მოქმედების პერიოდი შემდეგ საანგარიშგებო პერიოდზე გადადის და რომლებიდანაც შემოსავალი (და შესაბამისად ხარჯიც) მიკუთვებულ იქნება შემდეგ საანგარიშო პერიოდებს.

8. დეპოზიტებზე დარიცხული პროცენტები

	2012 წელი (ლარი)	2011 წელი (ლარი)
დეპოზიტებზე დარიცხული პროცენტები ბანკ „რესპუბლიკაში"	1806	0
დეპოზიტებზე დარიცხული პროცენტები „კორ სტანდარტ" ბანკში	3555	3917
დეპოზიტებზე დარიცხული პროცენტები „პროკრედიტ" ბანკში		2595
დეპოზიტებზე დარიცხული პროცენტები „საქართველოს" ბანკში	327	211
	5,687	**6,723**

9. სხვა მიმდინარე აქტივები

	2012 წელი (ლარი)	2011 წელი (ლარი)
ავანსები	7	0
მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირებისადმი	40,674	89,979
წინასწარ გადახდილი ქონების და სხვა გადასახადები	519	
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	5,197	
წინასწარ გადახდილი საშემოსავლო გადასახადი	2,184	
წინასწარ გაწეული აგენტის და ბროკერის ხარჯები	30,220	
სხვა მიმდინარე აქტივები	117737	83831
	196,537	173,810

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით *კომპანიის* სხვა მიმდინარე აქტივებში, კერძოდ კი 75473 ლარში, შესული ჰქონდა პრეტენზია წაყენებული სს „საქართველოს რკინიგზის" მიმართ. პრეტენზიის თანხა შეადგენდა 35,000 შვეიცარული ფრანკის ექვივალენტს ლარებში – 68855 ლარს, რომელიც *კომპანიის* ანგარიშიდან ჩამოიჭრა 2011 წლის 5 ივლისს საბანკო გარანტიის ამოქმედების გამო. *კომპანია* არ დაეთანხმა ამ თანხის ჩამოჭრას და საპასუხოდ საქმე შეიტანა თბილისის საქალაქო სასამართლოში. ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის საქმე იმყოფებოდა სასამართლოში განხილვაზე და შესაბამისად *კომპანიის* ბალანსზე რჩებოდა აღრიცხული როგორც წაყენებული პრეტენზია.

10. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

კომპანიის ძირითადი საშუალებების სტრუქტურა 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგნაირად წარმოდგებოდა:

	ივარით აღებული ქონების რემონტი (GEL)	თრანსპორტი (GEL)	ოფისის აღჭურვილობა (GEL)	კომპ .და კომუნიკაციის საშუალებები (GEL)	სხვა ძირითადი საშუალებები (GEL)	არამატ. აქტივები (GEL)	სულ (GEL)
ისტორიული ღირებულება							
ნაშთი 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	57,524	67,398	39,420	107,693	6,370	11,037	289,442
დამატება	379	43,990	1,438	822			46,629
(შემცირება)		7,286					7,286
ნაშთი 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	57,903	104,102	40,858	108,515	6,370	11,037	328,785

ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება							
ნაშთი 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	34,286	44,100	10,078	47,541	4,902	2,243	143,149
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	11,574	13,381	4,004	21,648	1,342	1,431	53,379
ჩამოწერა							-
ნარჩენი ღირებულება 2012წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	12,043	46,621	26,777	39,326	126	7,364	132,256

11. გადავადებული საგადასახადო აქტივი

გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება ხდება ყველა იმ საგადასახადო ზარალისთვის, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაში თუ მომავალ პერიოდებში იარსებებს ისეთი დასაბეგრი მოგება რომლის შემცირებაც შესაძლებელი გახდება ამ საგადასახადო ზარალებით. *კომპანიის* მენეჯმენტის შეხედულების გათვალისწინება აუცილებელია იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ თუ როგორი იქნება *კომპანიის* მომავალი საგადასახადო დაგეგმარების სტრატეგია, რა იქნება მომავალი პერიოდების დასაბეგრი მოგება და შეძლებს თუ არა ამ მოგებამ გადაფაროს წინა პერიოდის საგადასახადო ზარალები.

2012 წლის მდგომარაეობით *კომპანიის* გადავადებულ საგადასახადო აქტივს შემდეგი სტრუქტურა აქვს:

	ნარჩენი ღირებულება (ფინანსური)	*ნარჩენი ღირებულება (საგადასახადო)*	*დროებითი სხვაობები*	*მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთი*	*მოგების გადასახადი აქტივი (ვალდებულება)*
2012					
ძირითადი საშუალებები	124,895	84,285	(40,610)	15%	(6,091)
არამატერიალური აქტივები	7,364	6,567	(797)	15%	(120)
საგადასახადო ზარალი	-	2,002,937	2,002,937	15%	300,441
საეჭვო ვალები			-	15%	-
ზარალის ანარიცხი		-	-	15%	-
სულ	**132,259**	**2,093,789**	**1,961,530**		**294,230**

12. ვალდებულებები სადაზღვევო კრედიტორების მიმართ

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით *კომპანიის* ვალდებულებები სადაზღვევო კრედიტორების მიმართ შეადგენდა 129 485 ლარს. ეს თანხა ძირითადად მოიცავდა ვალდებულებებს სამედიცინო მომწოდებლების მიმართ.

13. 5% რეზერვი (IBNR)

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით *კომპანიის* 5% რეზერვს შემდეგი სტრუქტურა ქონდა:

	2012 წელი (ლარი)	2011 წელი (ლარი)
5% რეზერვი (IBNR)	32,865	20,961
	32,865	20,961

14. ვალდებულებები გადამზღვევლის მიმართ

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით *კომპანიის* ვალდებულებამ გადამზღვევლის მიმართ შეადგინა 1364396 ლარი, რომლის დიდ ნაწილს წარმოადგენდა გადამზღვევლის და ამავე დროს დამფუძნებლის სს „Стандард Страхование" ბაქოს წინაშე კრედიტორულ დავალიანება გადაზღვეული რისკებიდან.

15. გადავადებული სადაზღვევო შემოსავალი

	2012 წელი (ლარი)	2011 წელი (ლარი)
გადავადებული სადაზღვევო შემოსავალი (დაზღვევა კასკო)	120,223	121,707
გადავადებული სადაზღვევო შემოსავალი (ქონების დაქღვევა)	472,270	13,790
გადავადებული სადაზღვევო შემოსავალი (სამედიცინო დაზღვევა)	126,172	72,078
გადავადებული სადაზღვევო შემოსავალი (ავიაცია)	298,180	
გადავადებული სადაზღვევო შემოსავალი (სხვა დაზღვევა)	188,160	73,903
	1,205,006	281,478

16. გადავადებული შემოსავალი გადაზღვევის საკომისიოდან

	2012 წელი (ლარი)	2011 წელი (ლარი)
გადავადებული შემოსავალი გადაზღვევის საკომისიოდან (დაზღვევა კასკო)	16,831	17,468
გადავადებული შემოსავალი გადაზღვევის საკომისიოდან (ქონების დაქღვევა)	11,537	2,987
გადავადებული შემოსავალი გადაზღვევის საკომისიოდან (ავიაცია)	8,828	
გადავადებული შემოსავალი გადაზღვევის საკომისიოდან (სხვა დაზღვევა)	7,524	10,246
	44,719	30,701

17. სხვა მიმდინარე ვალდებულებები

	2012 წელი (ლარი)	2011 წელი (ლარი)
კრედიტორები (სადაზღვევოს გარდა)	5,464	8,788
მოგების გადასახადი		-
საშემოსავლო გადასახადი	182	4,232
უკუდაბეგვრის დღგ	218	
ქონების გადასახადი		235
სხვა გადასახადები და ჯარიმები		-
გადასახდელი ბროკერის და აგენტის საკომისიო	31,853	
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	500	2,980
	38,217	16,235

18. სააქციო კაპიტალი

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით *კომპანიის* საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 4480000 ლარს. ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის კომპანიის ერთადერთ დამფუძნებელს შეადგენდა სს „Стандард Страхование" ბაქო, აზერბაიჯანი 100%.

19. მოზიდული სადაზღვევო პრემია

	2012 წელი (ლარი)	2011 წელი (ლარი)
მოზიდული პრემია (დაზღვევა კასკო)	262,510	267,294
მოზიდული პრემია (საბანკო გარანტიები)		22,416
მოზიდული პრემია (ქონების დაქღვევა)	599,292	20,780
მოზიდული პრემია (სამედიცინო დაზღვევა)	376,125	236,015
მოზიდული პრემია (ტვირთი)	8,683	
მოზიდული პრემია (ავიაცია)	811,630	
მოზიდული პრემია (ვალდებულებათა დაზღვევა)	36,574	
მოზიდული პრემია (სამოგზაურო)	414	
მოზიდული პრემია (უბედური შემთხვევა)	1,767	
მოზიდული პრემია (სხვა დაზღვევა)	408,906	125,723
	2,505,900	672,228

20 გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი

	2012 წელი (ლარი)	2011 წელი (ლარი)
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის ცვლილება (დაზღვევა კასკო)	1,487	(190,788)
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის ცვლილება (ქონების დაქღვევა)	(458,481)	11,786
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის ცვლილება (სამედიცინო დაზღვევა)	(54,098)	(368,253)
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის ცვლილება (ტვირთი)	1,301	
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის ცვლილება (ავიაცია)	(298,180)	
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის ცვლილება (ვალდებულებათა დაზღვევა)	(9,577)	
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის ცვლილება (უბედური შემთხვევა)	636	
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის ცვლილება (სხვა დაზღვევა)	(106,616)	(93,745)
	(923,528)	(641,000)

21. გადაზღვევის ხარჯები

	2012 წელი (ლარი)	2011 წელი (ლარი)
გადაზღვევის ხარჯები (დაზღვევა კასკო)	137,187	242,430
გადაზღვევის ხარჯები (ქონების დაქღვევა)	127,834	7,473
გადაზღვევის ხარჯები (ტვირთი)	6,264	
გადაზღვევის ხარჯები (უბედური შემთხვევა)	2,403	

გადაზღვევის ხარჯები (ავიაცია)	512,913	
გადაზღვევის ხარჯები (სხვა დაზღვევა)	263,197	170,374
	1,049,798	420,277

22. ზარალის ანაზღაურების ხარჯები

	2012 წელი (ლარი)	2011 წელი (ლარი)
ზარალის ანაზღაურების ხარჯები (დაზღვევა კასკო)	331,229	333,912
ზარალის ანაზღაურების ხარჯები (ქონება)	2,358	
ზარალის ანაზღაურების ხარჯები (სამედიცინო დაზღვევა)	256,603	1,054,041
	590,190	1,387,953

23. სხვა შემოსავლები სადაზღვევო საქმიანობიდან

კომპანიის სხვა შემოსავლები სადაზღვევო საქმიანობიდან შეადგენდნენ 56307 ლარს 2012 წლის მდგომარეობით. სხვა შემოსავლები სადაზღვევო საქმიანობიდან საანგარიშგებო პერიოდში წარმოადგენდა შემოსავლებს გადარჩენილი ქონებიდან - 9103 ლარი, რეგრესიდან მიღებული შემოსავალი – 33135 ლარი და ფრანშიზა 14069 ლარი.

24. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2012 წელი (ლარი)	2011 წელი (ლარი)
ხელფასი	569,002	573,497
იჯარა	93,561	83,462
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	29,418	30,011
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	19,850	47,863
ცვეთა და ამორტიზაცია	53,379	54,446
გადასახადები და ჯარიმები	2,426	58,068
საბანკო ხარჯები	3,696	12,153
წარმომადგენლობითი ხარჯები	1,923	8,087
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	116,052	127,318
	889,308	994,906

25. აგენტების და ბროკერების საკომისიო

საანგარიშო პერიოდში *კომპანიის* საკომისიო ხარჯებს ძირითადათ წარმოადგენდა სადაზღვევო კონტრაქტების მოზიდვასთან დაკავშირებული აგენტებისათვის გადახდილი ანაზღაურება. საკომისიო ხარჯები როგორც წესი წარმოადგენენ ერთჯერად, ფიქსირებულ გადასახადებს, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ახალი სადაზღვევო კონტრაქტების (პოლისების) მოზიდვასთან *კომპანიაში.* მათი აღრიცხვა ხდება სისტემატურად, მომსახურების უშუალო მიღების პერიოდებში.

26. ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები

კომპანიის ფინანსურ შემოსავალს საანგარიშგებო პერიოდში წარმოადგენდა შემოსავლები საქართველოს ბანკებში განთავსებული დეპოზიტებიდან და *კომპანიის* მიმდინარე ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები.

	2012 წელი (ლარი)	2011 წელი (ლარი)
კორ სტანდარტ ბანკი	92,910	109,434
ბანკი რესპუბლიკა		13,022
პროკრედიტ ბანკი	26,193	5,174
საქართველოს ბანკი	75,676	23,430
თი ბი სი ბანკი		16,494
	194,778	167,555

27. უარყოფითი საკურსო სხვაობები და სხვა შემოსავლები /(ხარჯები)

	2012 წელი (ლარი)	2011 წელი (ლარი)
კურსთაშორის სხვაობიდან მოგება/(ზარალი), წმინდა	40,550	(103,384)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული მოგება / (ზარალი), წმინდა	17,844	(6,088)
საეჭვო ვალები	(364,921)	(88,263)
გადაზღვევის უიმედო ვალების ჩამოწერა	162,202	
სხვა შემოსავალი / (ხარჯი)	24,113	7,347
	(120,212)	(190,388)

28. მოგების გადასახადის ხარჯი

	2012 წელი (ლარი)	2011 წელი (ლარი)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	(602,734)	(1,290,906)
მოგების გადასახადის ეფექტური პროცენტი	15%	15%
ფინანსური მოგების გადასახადი	(90,410)	(193,636)
მუდმივი (გამოუქვითავი) სხვაობებით გამოწვეული ცვლილება	89,020	(99,204)
მოგების გადასახადის შემოსავალი (ხარჯი)	(1,390)	(292,840)

29. ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმის გათვალისწინებით, რომ საწარმო არის ფუნქციონირებადი, რაც იმას გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.